№ 3. 22 იანვარი 1871 22 იანვარი № 3.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ამატუნის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — ზ. ალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან ზაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახ.

აკტორს ორი თვის განმალობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეექვსე.

გაზეთის ფასი

თფილისში და გარეშე ადგილებში:	ზაგზავნით	ზაუგზავნელათ:
ერთისს წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2
ერთის თვისა	— 1 —	— — — „ — 75 კ.
ცალკე ერთის ნომრისა		— — — „ — 15 კ.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით — ასოზე 1/2 კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელის-მოწერა „დროებაზე“ შეიძლება

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე. ნ. ამატუნის სახლში.

ქუთაისში — ზერასიმე ქალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლუარსაბ ლოლუასთან.

თფილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-°.

ხელ-მოსაწერი ფასი:

	ზაუგზავნელათ: მან.	კაპ.	ზაგზავნით: მან.	კაპ.
ერთის წლისა თფილისში და აგრეთვე გარეშე ადგილებში	6	„	7	„
ნახევრის წლისა	3	50	4	„
სამის თვისა	2	„	2	50
ერთის თვისა	„	75	1	„

შინაარსი:

რედაქციის განცხადებები.—უცხო ქვეყნები: საფრანგეთი,—გერმანია.—ინგლისი, — ესპანია.—ამ კვირის ტელეგრამმები. — საქართველო:—ჩვენი მიწა-წყლის საქმე,—წვრილი ამბები. — რუსეთი: წვრილი ამბები. +ნეკროლოგი.—ნარევი. ბიბლიოგრაფიული განცხადებები.

ფელტონი: რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდამ. თ. რაფ. ერისთვისა.

„დროების“ რედაქცია უმოკრჩილესად სთხოვს იმ შარშანდელ ხელის-მომწერლებს, რომელთაც ჯერაც არ შემოუტანიათ გაზეთის ფული, რაც შეიძლება მალე შემოიტანონ.

ფელტონი

რამდენიმე სურათი

ჩვენი ხალხის ცხოვრებიდგან

XI

(ქარგათ მოწყობილს სასტუმროში ზის ჩაფიქრებული ნინო ბეგარამაძისა, ახლათ გამოსული ინსტიტუტიდგან; წინ რუსული წიგნი უდევს, ჰშლის და არა კითხულობს კი. — ამ დროს შემოვა ამისი ამხანაგი, იქვე მეზობლათ მდგმური, ნატო ბაიაშვილისა.)

ნ ა ტ ო. Здравствуй, Ниночка!... შინ რას უზიხარ?.. რატო აგრე სკუჩნათა ხარ?... საეიდეთ ეაკზალში.

ნ ი ნ ო. (წიგნს დახურავს და წამოდგება) ოჰ, ნატაშა, შენა... რა დროს ეაკზალია, ბებია ავათ არის, აღარავინ არ დადის... Такая скука... დაჯექი, დუშკა!.. (დასხდებიან.)

ნ ა ტ ო. Что съ нею?.. რა სთქვა?..

ნ ი ნ ო. რა ვიცი!.. Представь себѣ: каждую ночь შაბათ პარასკევს მარხულობს, ბევრი ლოცვა და... какъ это, что кусается?..

ნ ა ტ ო. ჩინჩარი?...

ნ ი ნ ო. Ахъ, да!.. ჩინჩარი... ჩინჩარი უჩამია—და ავათ გახდა საცქალი!...

ნ ა ტ ო. რატო დოხტური არ მოიქვანეთ?

ნ ი ნ ო. რა ვიცი, მამაშამა თქვა, ბებიას დოხტური ეჯავრებაო... ილისა და დარიჩინის ჩაი დაალევინეს...

ნ ა ტ ო. რას ქითხულობდი?..

ნ ი ნ ო. Отцы и дѣти... ვერა გავიგე რა, ბაებსა სცერენ.

ნ ა ტ ო. მეც წავიკითხე... ვერც გავათავე... ოვესტები მირჩევნია...

ნ ი ნ ო. მეცა.

ნ ა ტ ო. ნეტავი ისევ ინსტიტუტში ვიყოთ!.. Какъ весело было, გახსომს ჩვენი უჩიტელი, ქართულს რო გვასწავლიდა?...

ნ ი ნ ო. Ахъ, какой оригинальный. А танцовальный учитель?... გახსომს, რა დუშკა იყო?!..

ნ ა ტ ო. ერთხელ სიზმარში ვნახე: ვალცს ტანციობდა ჩემთან...

ნ ი ნ ო. მარტლა?. (აღტაცებით) დუშკა, დუშკა!.... დუშკა! (ღიმილით) ჯერ არა თხოვდები?..

ნ ა ტ ო. (მოწყენილი სახით). ჯერ არა.—მამაშამ ასეთი ბებრები ჩამომითვალა, რომ, კინაღამ გული აო შამიცუხდა.

ნ ი ნ ო. ბებრები.. Фу, гадость!.. (ღიმილით) ნატაშა!.. აქ ერთი აფიცარი ჩაიელის ხოლმე, რომ ნახო, გაგიჟდები!..

ნ ა ტ ო. ვინ არის?

ნ ი ნ ო. რა ვიცი... ეხლაც გაიარა ცხენით ეაკზალისკენ...

ნ ა ტ ო. Поѣдемъ, душка, въ вокзалъ!

ნ ი ნ ო. Пожалуй!.. საეიდეთ...

ნ ა ტ ო. აბ, ნეტავი იქა ენახოთ ისიცა და..

(აქ დაიწყებენ ჩუჯჩულს, ერთმანეთს გადაჰკოცნიან, მერე წამოდგებიან, ხელი ხელს გადაჰხვევენ ერთმანეთს და ისე დადიან, ჩუმათ მოლაპარაკენი. პატარახანს უკან „ფაეტონს მიაქროლებენ ვაქსალისკენ ლაქიის სინაბარა“)

XII.

(სოფელში ერთი გლეხი კაცის ოლი, სახელათ თინია, მივა მეზობლის ლობესთან და იძახის:)

თ ი ნ ი ა. ბაატონო! ბაატო...ნო!.. ნათლიჯალაბო!... ა, ნათლიჯალაბო!..

(ლობის გადღმა სახლიდან გამოიხედამს, ამ ხმაზედ, მეორე გლეხის ოლი, თინიას მეზობელი, ელენე, და ხმას მოსცემს):

ე ლ ე ნ ე. ვინ არის?.. რა გინდა ქა!?..

თ ი ნ ი ა. ბატონო!.. ნათლიჯალაბო!.. აბა, ერთი აქეთ მობრძანდით!..

ე ლ ე ნ ე. (თინიას რომ დაინახამს). უი, ქა! შენა ბძანდები?.. რა გნებამდა?.. (ლობესკენ მიდგება ისიც).

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ამ კვირის ტელეგრამებიდან და გაზეთებიდან მკითხველი გაიგებს, რომ პარიჟი დამორჩილებია გერმანიელ ჯარს, და მის გარეშემოშემოტყმული სიმაგრეები გერმანიელებისთვის დაუთმია.—ამასთანავე ის შეიტყობს, რომ ფულ-ფაერს ბისმარკთან პირობა შეუკრავს, რომლის ძალით ომი მთელ საფრანგეთში სამი კვირის ვადით შეწყდება.

არც მეცთან საფრანგეთის ჯარის შუაზე გაყოფა, არც სედანში ნახევარი ჯარის და იმპერატორის დატყვევება, არც მეცის აღება, არც ასი და ათასი დამარცხება—არ ყოფილა საფრანგეთისთვის ისეთ დამციებათ, როგორც ეს ახალი განსაცდელი. ჯარი საფრანგეთისთვის ადვილი საშოვარი იყო, ციხეები იმას ბლომათ ჰქონდა, ერთი დამარცხების მაგიერათ იმას სხვა ადგილს გამარჯვება შეეძლო, მაგრამ პარიჟის დაკარგვას ის ვერაფრით და ვერასგზით ვერ იზღავს, პარიჟობას საფრანგეთს ვერც ერთი ქალაქი ვერ უზამს.

ყოველი საზოგადოება, ყოველი ხალხი, ასე გასინჯეთ, ყოველი ოჯახიც სხვა და სხვა პირებთაგან შედგება, და ამ პირებში ზოგი ჭკვიანია, ზოგი უნიჭო, ზოგი გამბედავი და მხწრაფლ გონებიანი, ზოგი ზანტი, უხეირო და უაზრო. საქმის წაყვანაში, ანგარიშში, მემატებაში, ერთი სიტყვით ბედში და უბედობაში, ყოველთვის იმ პირებს აქვთ უმეტესი გავლენა და ძალა, რომელთაც გონება გახსნილი და ძლიერი აქვთ და ხასიათი—პატიოსანი და გამბედავი.—ბევრი ნია, რომ ეს ყველასთვის ცხადი უნდა იყოს.

საფრანგეთის ცხოვრება იმ რიგათ იყო გაწყობილი, რომ რაც მთელ საფრანგეთში ნიჭიერი და გამბედავი პირები იბადებოდა, ყველანი პარიჟისკენ იწევდენ,—თითქო პარიჟი მათი სამოთხე ყოფილიყო. იქ შეკრებილ იყო თითქმის მთელი ქვეყნის მეცნიერება, მთელი საფრანგეთის მმართებლობა, და იქაური ჰაერი ამაღლებდა, აპატიოსნებდა და გონებას უხსნიდა იმ პირებს, რომელნიც მუდამ მხიარულ და ბრწყინვალე პარიჟში მხიარულებას იეწყებდენ, და მოაზრე, მოქმედ პარიჟს უახლოვდებოდენ...

ეს იყო იმის მიზეზი, რომ პარიჟი მთელი საფრანგეთის კანონ-მდებელ ქალაქათ გახდა, ყველაფერში, რაც კი აზრს და ცხოვრებას შეეხებოდა. ეს იყო იმის მიზეზი, რომ პარიჟის აზრი და სიტყვა, პარი-

თ ი ნ ი ა. ერთი სამიოდ პური გვასესხეთ, მანამ გამოვაცხობთ... ბლღები მიტირიან, თორემ არ შეგაწუხებდი...

ე ლ ე ნ ე. აღარც ჩვენ გვიდევს, დედაშვილობამა, თორემ როგორ დაგიჭერდი...

თ ი ნ ი ა. ქუტები მაინც გექნებათ, ქა?

ე ლ ე ნ ე. არც კუტები მაქვს, შვილები არ დამეხოცოს, თორემ კუტებს მაინც როგორ დაგიჭერდი... მაგრამ, როგორ დავიჯერო, რომ პური სულ არ გედოს?..

თ ი ნ ი ა. არა, დედაშვილობამა!.. ეს ერთი კვირაა ჭინჭრითა და მხლით გამოვდიეართ... (მცირე ფიქრს შემდეგ) დამიდგა თვალები..? მა რა გვეშველება?...

ე ლ ე ნ ე. რატომ ბაძვრაანთ არა სთხოვე, ქალოჯან?..

თ ი ნ ი ა. ისინიც შიმშილითა წვიანან... მერე კიდევ ნაჩხუბრები ვართ...

ე ლ ე ნ ე. რათა, ქა?...

თ ი ნ ი ა. ღმერთი რო გაუწყრეს მამასახლისს... ურმები რო შამოგვაწერეს, ბაძვრაანთ რიგი იყო და ჩვენკი გაგვაგზავნეს... ჯერაც თქვენი ნათლიმამა არ დაბრუნებულა... ამაზე შელაპარაკდენ ჩემი ქმარი და ზურია.

ე ლ ე ნ ე. მგ მამასახლისმა სულ აგრე იცის... წამოუსხამს დურა ტყავი, ამოუჩრია იღლიაში ყავარჯენი და ისე დაიარება, თითქოს ორბთხელმწიფის შვილი იყოს!...

თ ი ნ ი ა. ნაჩალნიკიც აღარსად მობრძანდა, თორემ მაშინათვე უჩიელებდით.

ე ლ ე ნ ე. ჭალო, მამასახლისის ცოლიც რომ გაბერილია: ქათიბი ჩაუცომს და თონეში პურის ჩაკვრასაც აღარა კადრულობს...

თ ი ნ ი ა. რ ღათ იკადრებ!... ბრალი ჩვენი, რომ აღარც ჩასაკრავი გვაბადია და აღარც ამოსაკრავი...

ე ლ ე ნ ე. თუ ნაჩალნიკი მობძანდა, ჩვენც ვაპირებთ ჩიეილსა.

თ ი ნ ი ა. თქვენ რაღაზედა, ქაჯან?

ე ლ ე ნ ე. რაზედა და იმაზედ რომ, ნათლია თქვენმა ერთი კაი ეაცი მიართო, სამუშაოში ნუ გამგზავნიო... აბა ავათ იყო... ხელმარტოც არის; მერე კიდენ ვენახი შესაყელავი ჭრჩებოდა... მაგრამ, მაინც ყველაზე უწინ იმას უკრა თავი: „სახელმწიფო გზა არისო საკეთებელიო“... ეაციც იმას შერჩა...

თ ი ნ ი ა. უი, დამიდგა თვალები! უჩიელეთ, ეგება ციმბირში მიკარგონ, მაშინ გამოიპრანჭოს იმისი ცოლი მოქარგული თასაკრავითა!

ე ლ ე ნ ე. რა მაგის სიტყვის პასუხია და ეგების ჭიის თესლი გქონდეს, ერთი ორი სათითე მესესხე და ორ გაბმა აბრეშუმს სარგებელს მოგართმევ.

თ ი ნ ი ა. შვილები არ დამეხოცოს, ჩემ ბედობაზე ჭიის თესლი არ იპოვებოდეს, თორემ რა სარგებელი მინდა... აბა, შარშან ხომ ჭია არა გვჯდომია, მოგეხ ენება... წელს მეც მინდოდა ყიდვა მეწვრიმანეებიდგან, მაგრამ მეტათ ძვირათ აფასებენ, ი დალახრულები!

ე ლ ე ნ ე ა ეე ამბობენ, იმათი თესლი სნეულიაო.

თ ი ნ ი ა. დიახ, სნეულს ამბობენ.

ე ლ ე ნ ე. რატო ბატონიანთ არა სთხოვე, ქა?

თ ი ნ ი ა. ვთხოვდი, მაგრამ იმ დღ ს ბარეაში შველა გვთხოვეს და ოქვენმა ნათლიმამამ არ უშველა... „ი იც მეყოფა, რ ც აქამდინ მაგათთვის ემუშაობდიო... ეხლა ხომ ბატონები აღარ არიანო!...“ მეც ამიტომ ვეღარ გაებედე თხოვნა...

ე ლ ე ნ ე. ბაბრიყვებულხარ, დედა-შვილობამ! ისინი ისეთები არ არიან, რომ ცუდათ

ჟის მოქმედება მთელ საფრანგეთს აღელვებდა და აღძრავდა, და იმის ცხოვრებას აუმჯობესებდა.

მართლაც, მთელი საფრანგეთის მაგიერათ ფიქრობდა, სჯიდა, მოქმედებდა და ღვაწლობდა მარტო პარიჟი. დანარჩენი საფრანგეთი შრომობდა სარჩოს მოსაყვანათ, ფულის შესაძენათ, მამულების მოსავლელათ. მარტო პარიჟს ჰქონდა მინდობილი გონების და ზნეობის ცხოვრება.

ეხლა ეს საკვირველი დანიჭერებით საესე ქალაქი გარდასცეს ბერმანიის ჯარის ხელში. რაა, ან ვინაა ამ ნაირი დამცირების მიზეზი.

„დროებაში“ რამდონჯერმე იყო გაშინჯული ეს კითხვა, როცა საფრანგეთს შარშან პირველი განსაცდელი მიადგა. ჩვენ დაწვრილებით გამოვხატეთ საფრანგეთის დამხობის მიზეზები შარშანდელი „დროების“ ოცდა მეცამეტე ნომერში („საფრანგეთის შინაგანი მდგომარეობა“), როცა ნაპოლეონის მოქმედებაებს და მიზანს ვარკვევდით. მაშინ მკითხველმა დაინახა, რომ საფრანგეთის „ულონობის მიზეზათ ის სახელმწიფო გაწყობილება და წესი იყო, რომელსაც საზოგადოთ ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი ს ს ი ს ტ ე მ ა ს უძახიან.

ნაპოლეონის დატყვევების შემდეგ, საქმე ცოტათი შეიცვალა, ისე რომ, იმპერიის მაგიერათ საფრანგეთში რესპუბლიკა დაარსდა. მაგრამ, საფრანგეთის საუბედუროთ, ამ რესპუბლიკას თავში ისეთი პირები ყავდა, რომ მათი ხასიათის და წარსული ცხოვრების მცოდნე პირს რესპუბლიკის დაარსებისთანავე შეეძლო პირდაპირ გამოეთქვა, ეს პირები საფრანგეთს ხეირს არ დააყრიანო. ჩვენ მაშინვე დავსწერეთ „დროებაში“ (№ 40).

„საფრანგეთს ისეთი კაცები უყენია თავში, რომელთაც არაფრისგან არაფრის გარიგება არ შეუძლიათ და როცლის უხეირობა და მოუხერხებლობა საფრანგეთის ხალხს აუძლურებს.... ეს „რესპუბლიკელები“, დადგენ თუ არა რესპუბლიკის მმართველებათ, მაშინვე ნამდვილი და გამოჩენილი რესპუბლიკელების დევნას შეუდგნენ და მას აქეთ, რითიც კი შეუძლიათ, ცდილობენ საქმე ნაპოლეონის და ორლეანისტების მომხრეებს დაუტოვონ, და მისცენ უფროსობა და სამსახურის ადგილები. ეს იმისგან ხდება, რომ რესპუბლიკის პარტიის ეხლანდელი წინამძღომლები, ამ ოცი წლის განმავლობაში, ლაზათიანი „სიტყვების“ თქმის მეტს, არას შერებოდენ, და ამის გამო ისინი სრულიადაც არ არიან სხვა და სხვა საქმეებში გაჩვეულნი. მათგანმა თითქმის არავინ არ იცის, თუ სამხედრო სამსახური, წესი და ინგლისში რაა, ან და რა რიგ თ ხდება ალებ მიცემა, სად რა მოდის ბლომათ, სად რა იშოვება და სხვ. ისინი სრულიად გამოუცდელნი არიან „პ რ ა ქ ტ ი კ ულ“ ცხოვრებაში, და ამ გამოუცდელობის გამო თვითონაც ვერაფერს ახერხებენ, ვერც გამოცდილ პირებს პოულობენ,—ყველაფერს უწინდელ წესში და მდგომარეობაში სტოვებენ...“

ამის წინეთაც, „დროების“ ოცდა მეთერამეტე ნომერში, ჩვენ ვსწერდით შემდგომ სტრიქონებს:

„ეხლანდელი მმართებლობა სულ სხვა ნაირთ მოქმედებს. შინაგან საქმეებში ის ცდილობს თავისი წინააღმდეგებიდგან და მედუქნეებიდგან შენდობა მოიპოვოს, და ამ აზრით ყველა შესანიშნავ ადგილებს, სადაც კი მოქმედებაა საჭირო, ისეთ პირებს ურიგებს, რომელთაც რამე გავლენა აქვთ წინააღმდეგ პარტიებში. ნამდვილ პატრიოტებს კი უსაქმოთ სტოვებენ, ანა და ისეთ ადგილებზე აყენებენ, სადაც არც საქმეა გასაკეთებელი, არც გავლენაა მოსაპოვებელი. ერთი სიტყვით, შინაგან საქმეებში მმართებლობა მთელ საქმეს და საქმის წარმოებას უხეირო და უსარგებლო პირებს უტოვებს....“

—მას აქეთია, მმართებლობის ყოფა-ქცევა სრულიადაც არ შეცვლილა. ყოველ მის, მოქმედებას, ყოველ განკარგულებას ეს ერთი ცხადი, აშკარა მიზანი ჰქონდა: შემძლე საზოგადოების, ბანკირების, მედუქნეების (ბურჟუას) დაკმაყოფილება, ნამდვილი პატრიოტების დალაგმა. და ყველა ხალხის მოყვარე და ხალხისაგან შეყვარებულ პირებს ახლანდელმა საფრანგეთის მმართებლობამ ხელი დააკრეფინა და ენა ჩაუწყვიტა. მუშა ხალხს—რომელიც ყოველგან ჯარის უმეტეს ნაწილს შეადგენს, ეს მმართებლობა ისე ებყრობოდა, თითქო მტერს ....

წელანაც ნათქვამი იყო, რომ საზოგადოებაში ზოგი ნიჭიერი და მხნეა, ზოგი ზანტი და უაზროა. ყოველ საზოგადოებაში ეს უკანასკნელები უმეტესს რიცხვს შეადგენენ, და თუმც ნიჭიერ და მხნე პირების რიცხვი ნაკლებია, მათ აზრს მაინც მეტი გავლენა აქვს მინამ ითი იმოდენა უნიჭო პირების აზრს. საფრანგეთის დროებითმა მმართებლობამ ყური არ უგდო ნიჭიერი და გამბედავი ნაწილის აზრს, და უხეირო ოსტატობით მოთხოვა აზრი მედუქნეებს, რომელნიც ნაპოლეონის დროსაც ჭურსავით ამოსძახიდენ ყველაფერსა, რასაც კი მათ ჩასძახებდა.

საფრანგეთის საუბედუროთ. რაკი მმართებლობა ბურჟოების აზრს აყვა, ეს აზრი იმა სიკეთეს არ დააყრიდა. სანამ საქმე მარტო ულბრალო პასუხის მიცემაში იყო, სანამ მედუქნეების მოვალეობა „ჰოს“ ან „არას“ თქმა იყო, მედუქნეები სიამოვნებით ასრულებდენ თავიანთ ვალს. მაგრამ, როცა ბერმანიელების ყუმბარებმა დუქნების შუშები და მოწყობილება წაახდინეს, მედუქნეებმა, რასაკვირველია, ბრძოლის შეწყვეტა, და დუქნების გადარჩენა მოინდომეს... და ჟულ-ფავრი ბისმარკთან პარიჟის დამხობაზე მოსალაპარაკებლათ წავიდა...

სანამ ეს უკანასკნელი საქმე მოხდებოდა, მუშა-ხალხს მმართებლობიდგან მოუთხოვია, ნუ დაევმორჩილებით, გაეგრძოთ ბრძოლაო.—მაგრამ ბურჟუა და ბანკირები, რასაკვირველია, ამ აზრის თავიანთ დღეში არ გახდებოდნენ. მმართებლობაც მათი აზრის გამხდარა, და თავის უწინდელი დაპირება დაუვიწყნია: ტელეგრამა ამბობს, რომ „ხალხის მოძრაობა„ დაამშვიდესო და ჟულ-ფავრი ბისმარკს მოურიგდაო.

— საფრანგეთის სამხრეთიდამ ერთს ბელგიურს გაზეთში იწერებიან, რომ 9 იანვარს მანტეიფელის (ნემცების) არმია ბოპონსა და ქამბრეს შუა დგასო, ე. ი. ისეთ ალაგს, რომ, თუ გაიმარჯვეს, ბენტგეიმის არმიასთან შეერთება შეუძლიანთო (ეს არმია ნორმანდიაშია), და თუ დაამარცხეს, მაშინ ისინი ამიენში დაბრუნდებიანო. ფედერების (ფრანცუზების) არმიას კი ისევ პოზიციები უჭირავს, რომელნიც ბოპონთან გამარჯვების შემდეგ დაიჭირაო.

— ამავე გაზეთში სწერენ, რომ ბურბაკი, ბრესოლი (ლიონის არმიის უფროსი) და ბარიბალდი ერთად მოქმედებენ საფრანგეთის აღმოსაელეთისაკენ, ვერდერის წინააღმდეგ, რომელიც იქამდი მიუყვანიათ, რომ ისევ ვეზულში დაბრუნებულა და ახალი ჯარები უთხოვნია დასახმარებლათ. ამ ჟამად ამ ნემცების ღენერალს ჰყავს იქ 80,000 კაცი და ფრანცუზებს კი 100,000; მაგრამ, როგორც ამ ნომერში დაბეჭდილი ტელეგრამიდამ შეიტყობს მკითხველი, ბურბაკი დაუმარცხებია ვერდერსა და ბეზანსონისაკენ გაუდენია.

—სანამ საფრანგეთიდამ მრგვალიდოდა ფრანცუზებისათვის გულის მომაკედინებელი ამბავი, რომ ჟულ—ფავრმა კაპიტულაციით გადასცა პარიჟი ნემცებსო, ბორდოდამ იწერებოდენ, რომ გამბეტა არას გზით არ აპირებს ნემცებს შეურიგდეს, თუნდ იმათ პარიჟიც აიღონო. ამის გამო გამბეტას დაუმზადებია ახალი დეკრეტი, რომლის ძალით ყოველი ფრანცუზი, რომელიც 50 წელიწადს [illegible] ბულა და შეუძლია თოფ[illegible] უნდა გამოვიდეს მამულის საშველათ. ის გაზეთი, რომლიდგანაც ჩვენ ეს ამბავი მოგვყავს, ამბობს, რომ ამ დეკრეტსა მხოლოთ მაშინ გამოსცემს გამბეტა, როცა ნემცები პარიჟს დაიჭერენო.

გ ე რ მ ა ნ ი ა.

ერთს ნემეცურ გაზეთში სწერენ, რომ პრუსიის მმართებლობას დაუთვალავი ადრესები მისდისო სხვა და სხვა ქვეყნებში დაფანტული ნემცებისაგან. თითქმის ყველა ეს ადრესები აქებენ პრუსიის მმართებლობას და ურჩევენ, რომ იმან ისარგებლოს თავის გამარჯვებით და რაც შეიძლება მომეტებული წაართვას საფრანგეთსა. ამ ადრესებში მხოლოდ ორია ისეთი, რომელნიც ამ ნაირ სიხარბეს არ იჩენენ: ერთი არის ის, რომელიც გამოგზავნეს ამერიკიდამ ნიუ—იორკის ნემცებმა და მეორე ლიონის ნემცებმა. ნიუ—იორკის ადრესი დაწერილია ინგლიურს, ნემეცურს და ფრანცუზულს ენაზე; ის ეუბნება პრუსიის მმართებლობას, რომ ახლანდელ ომს მხოლოთ სედანამდი, ე. ი. ნაპოლეონის დატყვევებამდი ქონდა საფუძველი და აზრიო. სედანის შემდეგ კი ომს მიეცა დესპოტიზმის ხასიათი და ამიტომ ის არის უსამართლო, უზნეო და ბარბაროსული საქმეო. ამიტომაც ჩრდილოეთ ამერიკის ნემცები სწყეველიან ამ ომის გაგრძელებას; ისინი თანაგრძნობას უცხადებენ იმ უბედურ ხალხთა, რომელნიც საფრანგეთში და ბერმანიაში ძალა—უნებურათ შეიქნენ ამ სისხლის ღვრის მსხვერპლათ; ამერიკის ნემცები სრულიათ არ თანაუგრძნობენ პრუსიის პოლიტიკას, რომელსაც ელზასისა და ლოტრანგიის დაპყრობა სურს; ისინი მოიწვევენ ჩრდილოეთ ამერიკის ყველა კეთილ-გონიერ მოქალაქეებს—სთხოვონ თავის მმართებლობას, რომ ყოველი ღონის-ძიება იხმაროს ამ ბარბაროსული ომის მოსპობისათვის. „ეს ადრესი მიუვიდა ბერლინში„ არზების გამჩხრეკელ კამისიას „(Петиціонная коммиссія), რომელმაც არ იცოდა, რაექნა. ბოლოს თითო პირი ამ ადრესისა პარლამენტს წევრებს დაურიგეს ყურადღებაში მისაღებელათ.

ესპანია

ოთხი წელიწადი მეტია, რაც ესპანიიდამ

გაგიხსენონ. ამას წინათ ჩვენც ფული დაგვჭირდა, ხარჯსა გვთხოვდენ—და მაშინვე ხელი გაგვიმართეს... მაშ, მეზობლობაში როგორ იქნება?!..

თ ი ნ ი ა. მა'მ, ნათლიჯალაბო, სულ არ გიძევთ პური?..

ე ლ ე ნ ე. ერთი ათიოდ ლობებული პური გვიგდია და მანამ წისქვილიდამ ჯერს მოიტანენ, რა ვიცი როგორ დაგვჭირდეს. ჩვენც წვრილფეხობის პატრონები ვართ...

თ ი ნ ი ა. ჰო-და, სამი ჩვენ გვასესხე...

ე ლ ე ნ ე. ვერა, დედაშვილობამ, ვერ გასესხებ. ნუ დამემდურები, შენი ჭირიმე, მერე კიდევ გუთანი გვაქვს გასატანი...

თ ი ნ ი ა. (ბაჯავრებული). თქვენ სულ აგრე იცით ქა!.. თავი დღეში მეზობელს ხელს არ გაუმართამთ. ჩვენი ღორი მაინც მოგვეცით, რომ ისე ხეთ; დავკლამ და იმას ვაჭმევ ბალღებს.

ე ლ ე ნ ე. მა! სად იყო ღორი? ბადამხჭვალ გოჭ—ღორს ეძახი?!

თ ი ნ ი ა. ში, დამიდგა თვალები!.. ის იყო გოჭი? შვილები არ დამეხოცოს, ორი წლის კერატი იყო.

ე ლ ე ნ ე. არც კერატი ყოფილა, და არც ბურეაკი. ნათლია თქვენი მოვა და იმასა სთხოვეთ. (ბაბრუნდება და წასვლას აპირებს).

თ ი ნ ი ა. თქვენ სულ აგრე იცით ხოლმე, მაშინდელი ინდოურისა არ იყოს...

ე ლ ე ნ ე. (ბამობრუნდება და ტუჩებზედ თითებს მიიფარებს). რა ინდოურისა, ქა?....

თ ი ნ ი ა. რო ისესხეთ და აღარ მოგვეცით... შეიტყაპუნეთ!

ე ლ ე ნ ე (წყენით). ინდოური არ იყო სანაშენოთ მოგვეცით და კვერცხებზედ დაკვდა?..

თ ი ნ ი ა. (ბაკვირვებით.) სანაშენოთა? შახე რა მოგონა?!.

ე ლ ე ნ ე. სანაშენოთ, შვილები არ დამეხოცება!..

თ ი ნ ი ა. მოცემა არ გინდათ-და ის არის! მეტს რაღას იტყვით. იმ დღეს შენს რძალსაც დაეკვეხნა: „ერთს ინდოურს კიდევ დაეტყუებთო...“

ე ლ ე ნ ე. მტყუანს ყველაწმინდა გაუწყრეს!

თ ი ნ ი ა. ანგრე იყოს!... თქვენთან მეზობლობაც არ ვარგებულა. სულ ქათმები გვეკარგება ხოლმე.

ე ლ ე ნ ე. ქა! ქურდობასაც გვაბრალებს?..... ქურდები თქვენ თუ ხართ, თორემ ჩვენ კი არა..... (გაბრუნდება და მიდის). უნამუსო!..

თ ი ნ ი ა. უნამუსოება თქვენკენ მოიკითხეთ! ზოგი გზირის რძალსა ჰკითხეთ!...

ე ლ ე ნ ე (გამოუბრუნდება). ბაგიწყრეს ნათელ-მირონის მადლი, რო აღარაფისი დანდობა არა გაქვთ!... თუ მათქმევინებ, შენ არ იყავი, რომ სამი დღე „ნაჩალიკის“ ასაული სახლში გედგა?!...

თ ი ნ ი ა შახე ამ გულმკვდარ', რაებს იგონებს!...

ე ლ ე ნ ე (ბაწიწმატებული). ხმა ჩაიკმინდე, თორემ გადმოვალ და ასეთ კეტსა გდრუბამ, რომ შენცა თქვა რა დამემართაო!...

თ ი ნ ი ა. (ძოქოლას აყრის). აააი, ჩაკტიტე... ბბა გადმობძანდი და დედაკაცი არ ვიქნები, თუ კაწაწებით არ გათრიო!....

ე ლ ე ნ ე. ში, შენ თიასა!... მეხი კი დაგაყარე მაგ კერტლიან თავზედ ა!...

თ ი ნ ი ა. რა გინდა, დედავ და თვალო?.... არც არას მოგვცემ და კბილებსაც დაგამტვრევ?. (ბაბრუნდება სახლისკენ).

ე ლ ე ნ ე. ბარგია, გახსომდეს ეს დღე, შე წუკიავ! მშვიდობით! შეგრჩეს, შეგრჩეს!.. (მიდის).

(ამდროს მეზობლები მოდგებიან თავთავიანთ სახლების ღობეებთან და შეიქნება კითხვა).

პირველი მეზობლის ცოლი. რა ამბავია, ქალო?..

მეორე მეზობლის ცოლი. ვინა ჩხუბობენ, ქა!..

(თინია და ელენე გაჰშორდებიან ერთმანერთს და წყველა-ქოქვით მიდიან თავთავის სახლებისკენ).

პირველი მეზობლის ცოლი (ელენეს). რა იყო, ქალო, რა დაგემართათ?..

ე ლ ე ნ ე. (პასუხათ, მადლა ხმით გაჰკივის რომ თინიამ გაიგონოს). ღმერთი რო ამოაგდებს ჩვენი ნათლიდედის თინიას თავსა!... ბაუწყრა იმას ნათელ-მიროონი!.... მომყო პირი, ქალო, და ქვეყნის ტალახში კი მომსვარა!...

პირველი მეზობლის ცოლი (ელენეს). ში, დამიდგა თვალები!... რათაო?...

ე ლ ე ნ ე. (პასუხათ). რავიცი რათაო!... ნათქვამია: „ავი კაცი, ალდგომასაც ავიაო...“ მე დედა-შვილობის მეტი არა მითქომსრა... ბაუწყრა იმას დედა ღვთისა!... და ის კი მომდგა და ქვეყნის ლაფი თავზედ დამასხა...

პირველი მეზობლის ცოლი (ელენეს). მეხი კი დავაყარე იმის თავსა!...

მეორე მეზობლის ცოლი (თინიას). რა გაჩხუბებთ, ქალო?.. რა იყო?...

თ ი ნ ი ა. (პასუხათ). სამი პური ვესესხე ქალო ჩვენ ნათლიჯალაბს ელენეს... ბაუწყრა იმას სამება.... და პურის სესხება რომ არ უნდოდა, მომიდო რაღაც შარები, მერე კიდენ მომყო პირი და წყველა-ქოქვით კი ამომაგდო, იმ ამოსაგდებმა...

მეორე მეზობლის ცოლი (თინიას.) რათაო, ქა?.. შახე იმ უნამუსოს ა!...შენც შეუკურთხებდი....

თ ი ნ ი ა, (პასუხათ.) რაღათ დაუთმობდი?—იმისი ნაბიჭვარა ხომ არ ვიყავი?..

პირველი მეზობლის ცოლი (ელენეს.) მერე კაწაწები არ დააგლიჯე?..

ე ლ ე ნ ე. გამეპარა, თორემ ვაჩვენებდი, იმ ღოჯიანი შვილს, თავის თამაშობას!..

მ ე ს ა მ ე მ ე ზ ო ბ ლ ი ს ც ო ლ ი. რა იყო, ქა? ვინა ჩხუბობენა?

პ ი ე ვ ლ ი მ ე ზ ო ბ ლ ი ს ც ო ლ ი (პასუხათ.) რავიცი... ელენე და თინია წაჩხუბულან: ერთი ალიაქოთი აქვთ.

(ამ დროს გამოჩნდება მამასახლისი; მძიმეთ მოდის; უკან და გვერდით სოფლის კაცები მოსდევენ და მოლაპარაკობენ, ქალები მიიმალებიან თავთავის სახლებში.)

თ. რაფ. ერისთავი.

გაისტუმრეს Იზაბელა; მას აქეთია კორტესები ხელმწიფეს ეძებდენ ესპანიის ტახტისთვის; მაგრამ დღემდი ვერ იშოვეს. ამის მიზეზი ერთი მხრით, რასაკვირველია, ის გარემოებაც იყო, რომ ესპანიის ხალხის ერთს ნაწილს სრულიად არა სურდა თავის ქვეყანაში მეფის ყოლა; იმათ რესპუბლიკური მმართებლობის გამართვა უნდოდათ ესპანიაში და ამის გამო, ვისაც კი არ თხოვეს ხელმწიფეთ დაგვიდექიო, ყველა უარს ეუბნებოდა. ბოლოს, როგორც იყო, Иტალიის კოროლის შვილი, Аოსტის პრინცი, Аმედეი, დათანხმდა და, როგორც ჩვენ ვიცით, კიდეც ამოირჩიეს ის კორტესებმა. მაგრამ ორი გარემოება გვიმტკიცებს, რომ ესპანიაში ბევრს არ გახარებია იმის ამორჩევა: ერთი გარემოება არის პრიმის მოკვლა, რომელიც ყოველ ღონისძიებას ხმაროობდა, რომ მაინცა და მაინც ესპანიაში ხელმწიფე ყოფილიყო და მეორე ის, რომ Аმედეისაც უპირებდენ თურმე მოკვლას იმ დღესვე, რა დღესაც ის მივიდა მადრიდში. Аმ უკანასკნელ ამბავს ერთი ინგლისური გაზეთის კორრესპონდენტი იწერება.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

Გერმანიასა და საფრანგეთს შუა ომმა სხვათა შორის დაარწმუნა ყველა სახელმწიფოები, რომ ის სამხედრო წესი, რომელიც პრუსიაში არის შემოღებული, საუკეთესოა და ომიანობის დროს, აუცილებელათ საჭიროა. Аმის გამო ყოველგან ამ წესს მიაქცევს ახლა ყურადღება და პრუსიულათ მმართველენ და წვრთნიან ჯარებს. მაგრამ იმ ხალხთა, რომელნიც მშვიდობიანობას არიან მიჩვეულნი და თოფის მაგიერ არშინი უჭირავთ ხელში, სრულიად ირ მოსწონთ ამნაირი გასალდათება მთელი მხრისა. Аმ დღეებში ლონდონში დიდი მიტინგი იყო მუშებისა, და იქ გადაწყვიტეს—მმართებლობას მივცეთ ადრესი და გამოუცხადოთ იმასაო, რომ ჩვენ სრულიად არ მოგვწონს და არ გვსურს „პრუსიულათ გასალდათება ბრიტანიის ხალხისა, ე. ი. ისეთი კანონის დადება, რომლის ძალით ყოველი მოქალაქე ვალდებულია სამხედრო სამსახურში იმსახუროს.“

Аმ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ს. პეტერბურ. 14 იანვ. ლონდონში მივიდა ჟულ—ფავრი პარიჟის კაპიტულაციაზე მოსალაპარაკებლათ; ის თხოულობს, რომ პარიჟის გარნიზონს მიეცეს ნება დაიარაღებული გამოვიდეს ქალაქიდამ.

—ბრანეილ და ლონგვი კაპიტულაციით დაემორჩილა ნემცებს; სამი ათასი ტყვე აიყვანეს.

ს. პეტერბ., 15 იანვ. ჟულ—ფავრი პარიჟში დაბრუნდა. Аი პრუსიელების პირობები: უნდა დაუთმონ პარიჟის ფორტები; მოძრავმა გვარდიამ უნდა დაჰყაროს თოფ-იარაღი და ტყვეთ მიეცეს ნემცებსა; ელზასი და ლოტარინგია უნდა დაუთმონ ნემცებს, რომელნიც შამპანში დარჩებიან, სანამ ფრანცუზები კონტრიბეციას არ გადიხდიან. Аმასობაში საფრანგეთში მმართებლობა უნდა დაწესდეს.

ფრანცუზები არ არიან თანახმა ამ პირობისა.

—ბურბაკის უკან მისდევენ ნემცები; ის ბეზანსონისაკენ მიდის.

ლონდონი. ტროშუმ თავი დაანება სამსახურს. პარიჟში აღელვებული ხალხი თხოულობს ნემცებს თავს დაეცეთო. Аრეულობა მოსპეს.

— ნიეერის დეპარტამენტში ლაროშთან და ბრიონთან ფრანცუზებმა ბევრი პრუსიელები დაატყვევეს.

ს. პეტერბ., 16 იანვ. ლონდონში მოვიდა ამბავი, რომ პარიჟი კაპიტულაციით დაემორჩილა ნემცებს.

—მერსალიდამ არის ცნობა, რომ 15 (27) იანვ. ჟულ—ფავრი მივა იქ (პრუსიის მთავარ კვარტირაში) კაპიტულაციის პირობების დასადგენათ.

ს. პეტერბ., 17 იანვ. ვერსალში მივიდა ჟულ—ფავრი, ბოფორი და სხვა პირები; ამათ ბისმაკთან შეჰკრეს მორიგების პირობა, რომელიც მთელ საფრანგეთს შეეხება. Аქ ისმის ბარაბანის ცემა და ხალხის ყვირილი.

— ბრაფ ბისმარკი ბერლინში იწერება: ჟულ—ფავრმა მოაწერა ხელი კონვენციას, რომლის ძალით პარიჟის ფორტები ნემცებმა უნდა დაიჭიროონ და სამი კვირის განმავლობაში ომიანობა აღარ იქნება. Аრმია დატყვევებულია პარიჟში.

ს. პეტერბ., 18 იანვ. (ბრუსელიდამ). პარიჟის ფორტები ბერმანიის ჯარებმა დაიჭირეს. პარიჟის გარნიზონი, ნაციონალურ გვარდიას გარდა, ჰყრის თოფ-იარაღსა.

—(ბორდოდამ) ლენერალ ბურბაკის ადგილზე ლენერალი ბლანშარი დანიშნეს.

ს. პეტერბ. 19 იანვ. ლენერალ ბურბაკის არმია შვეიცარიის სამზღვარზე გადადის.

ლონდონიდამ. გაზეთებს ომიანობა გათავებული მიაჩნიათ; გამარჯვებული მხარე ბევრს არ თხოულობს.

ვერსალიდამ. პარიჟის ფორტები ბერმანიის ჯარმა დაიჭირა.

ს. პეტერბ. 20 იანვ. პარიჟის კაპიტულაციისა და 19 თებერვლამდი მორიგების პირობები: პარიჟის გარეშეთ რაც ზარბაზნები და სამხედრო მასალაებია უნდა აიღონ; ჯარები ტყვეთ უნდა მიეცენ, 1,200 კაცს გარდა, რომელნიც წესიერების დასაცველათ დარჩებიან; პარიჟმა ორას იმილიონი ფრკ. უნდა გადიხადოს ორ კვირაში; ტყვეები უნდა გაცვალონ.

ბერლინიდამ. ბელფორს შეუწყნარებლივ ზარბაზნებს უშენენ.

Ერთი ნაწილი ბურბაკის არმიისა მოაშორეს მეორესა და შვეიცარიისკენ მიამწყვდიეს; მეორე ნაწილმა სამხრეთისაკენ დაიწია.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲬᲐ—ᲬᲧᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ.

შენიშნულია, რომ სიღარიბე, ქურდობა, ავაზაკობა და საზოგადოთ ცუდ-კაცობა იმ ქვეყნებში უფრო ხშირია და უფრო გავრცელებულია, საცა, სხვა და სხვა გარემოების გამო, ხალხის უმეტესი ნაწილი უმიწა-წყლოთ დარჩენილა, საცა მიწა რამდენთამე პირთა ჩავარდნიათ ხელში. წინააღმდეგ ამისა, სიღარიბე და ცუდ-კაცობა იშვიათია იმ ქვეყანაში, საცა მიწა იმდენათ წვრილ—წვრილათ არის დაყოფილი, რომ უიმისოთ არავინ არ დარჩენილა.

პირველი წინადადების დასამტკიცებელათ ჩვენ მოვიყვანთ Ინგლისს, რომლის მიწები ორას თუ სამას ლორდს, მ ხვილ მემამულეებს, ეკუთვნის და რომელშიაც უეტესი ნაწილი ხალხისა სრულიად უმიწა-წყლოთ და უსახლ-კაროთ არის დარჩენილი. მგონია, მთელს დედა-მიწაზე არსად არ მოიპოვება ისეთი სიღარიბე, იმდენი ცუდ-კაცობა და უზნეობა, რამდენიც Ინგლისის მდაბალ ხალხშია. უეჭველია, რომ ამის უპირველესი მიზეზი ის არის, რომ იქ ხალხი მოკლებულია იმ ნიეთს, რომელზედაც კეთილათ და თავის თავისა და ქვეყნის სასარგებლოთ შეეძლო შრომის მოხმარება; ის მოკლებულია მიწას—ჩვენ დედა—მრჩენელს. ვინ არ იცის, რომ კაცს სტომაკის დამორჩილები არ შეუძლია? ვინ არ იცის, რომ შიმშილი თვით უგანათლებულესსა და დიდათ ზნეობიან კაცსაც ხშირათ ძალიან ცუდ საქმეს და ბოროტებას აქნევინებს? Ინგლისში დიდხანია გაიგეს—რამდენი ვნება მოაქვს მთელი ხალხისთვის ამნაირათ მიწის განაწილებას და მიტინგებში და პარლამენტში ხალხი თხოულობს ამ წყობილების შეცვლას; ის თხოულობს, რომ ის აუარებელი მიწები, რომლებიც ლორდებს უსარგებლოთ გაუშვიათ, უფრო მსუბუქი პირობებით მოგვექირავდეს ჩვენა და შეეამუშავებთო. მაგრამ Ინგლისის მმართებლობა, რომელსაც ამჟამად ისევე ლორდები შეადგენენ, ჯერ-ჯეროობით ირ ეთანხმებიან ხალხს ამ წინადადებაზე.

Аმია წინააღმდეგ მაგალითს წარმოგვიდგენს რუსეთი და ჩრდილოეთ-Аმერიკის შეეთებული შტატები, რომელსაც კეთილდღეობაში და წარმატებაში თითქმის ყველა ქვეყნები შენატრიან. Аრც საფრანგეთში იყო დღემდი ისეთი სიღარიბე, როგორც Ინგლისში; ამიტომ რომ იქ უფრო მომეტებული მიწა-წყლის მქონებელნი იყო, ვიდრემ Ინგლისში. Аმერიკაში ხომ, ვისაც კი ჰსურს და სასარგებლოთ დაინახავს მეურნეობას, ყველას შეუძლია მიწა იპოვოს.

Аს აზრები მოგვეივიდა ჩვენ, როცა წაიკითხეთ „სასოფლო გაზეთის“ ამწლის პირველ №-ში უფ. სკანდელის სტატია: „Аმხანაგობის ძალა.“

Უფ. სკანდელი ამბობს, რომ, რადგან უმეტესი ნაწილი ჩვენი თავად-აზნაურებისა უწინდელი დროიდგანვე დიდ ხარჯს შეჩვეულნი არიან და რადგან, უცოდინარობისა და უფულობის გამო, ისინი თავიანთი მამულებისაგან ვერ დააკმაყოფილებენ ამ ხარჯს, ამიტომ, უეჭველიაო, ადრე თუ გვიან ისინი გაყიდიან თავის მამულებსო და ამნაირათ ნაბატონების მამულები სხვას ჩაუვარდება ხელშიო.

მაგრამ ვის ჩაუვარდება ხელშიო? ჰკითხულობს უფ. სკანდელი, და ამ კითხვაზე აი რა პასუხს გვაძლევს:

„ბლეხ-კაცი სულს ახლაც ძლივს იბრუნებს,—ისე დამჩაგვრელი იყო მისთვის წარსული ჩვენი ცხოვრება. Иმის მდგომარეობა, ცოტათი არ იყოს, მარტო ახლა კეთდება, განთავისუფლების შემდეგ; და განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც ჩვენ ქვეყანაში ცოტაოდენი აღებმიცემა და მისვლა-მოსვლა გაიმართა, ბლეხ-კაცი ზურგის გამართვას იწყებს. მაგრამ ახლაც უწინდელ ცხოვრებას მასზე დიდი გავლენა აქვს. Аხლაც კიდევ მძიმეთ აწევს ბლეხ-კაცს უწინდელი უმეცრების ტვირთი. Დღეს იმას შეუძლია ცოტათი თავის თავისთვის იმუშაოს. მაგრამ მისს ახლათ-დაწყებულს, გუშინდელს შრომას არც იმდენა ძალა აქვს, არც იმდენა ხერხი, რომ ბლეხ-კაცს მკვიდრათ შეეძლოს თავის ოჯახის კეთილდღეობის დაფუძნება. Ერთი სიტყვით, იმას უწინდელზე უკეთ შეუძლია ოჯახის რჩენა, მაგრამ ჯერ კიდევ დიდხანს არ შეეძლება ამ ოჯახისთვის ადგილ-მამულის ყიდვა.“ „Аხადიაო, ამბობს შემდეგ უფ. სკანდელი, რომ ყიდვის შეძლება მარტო სხვილ ნაბატონებსა და ვაჭრებს ექნებათ და თითქმის მთელი ჩვენი მიწა-წყალი რამდენიმე ხნის შემდეგ იმათ ხელში გადავა.“

ზეით დაწერილიდამ გაიგებს მკითხველი, რომ ამ ნაირი დასასრული ჩვენი მიწა-წყლის საქმისა სასარგებლო არ იქნება საქართველოსთვის. მიწის ჩავარდნა რამდენიმე ისეთი პირის ხელში, რომელნიც თვითონ არ შეამუშავებენ იმას, ჩვენ ხალხს ხეირს არ დაუყრის, როგორც არ დააყარა ამან ხეირი Ინგლისის ხალხსა. Аმიტომაც უფ. სკანდელი ურჩევს ბლეხ-კაცებს, რომ იმათ ეცადნონ და მოახერხონ ამ გასასყიდელი ადგილ-მამულების შესყიდვა. მაგრამ, რადგან განცალკევებულ ბლეხს ამდენი შეძლება არა აქვს, ის ურჩევს მთელმა სოფელმა ერთად შეიყაროს, შეკრიბოს ფულები და ამ ნაირათ შეიძინოს ხოლმე მამულებიო. Аს ნაირათ ნაყიდი მამულები მაშინ, რასაკვირველია, მთელი სოფლის საკუთრება იქნება, რომელიც თვითონვე რამდენიმე წლის ვადით მიაქირავებს იმ თავის წევრს, რომელსაც მიწა ეჭირება. Аმ ნაირათ მის ნაცვლათ, რომ სხვებმა ისარგებლონ ბლეხ-კაცის შრომით, თვითონ ისინი ისარგებლებენ, როცა მიწები იმათი საკუთრება იქნება.

Უფ. სკანდელი „სასოფლო გაზეთის“ შემდეგ №№-ში გვპირდება იმის განხილვას, „თუ რა ნაირათ, რა გზით შეიძლება მიწების გამოყიდვა პატრონებისგან და ამ მიწების ამხანაგობრივი განაწილება და სარგებლობა, როგორც ეს საქმე რუსეთში გაწყობილი.“

Аრ ვიცით ჯერ—რა გზას ეჭვენ ბლეხ-კაცებს უფ. სკანდელი მიწების შესყიდვასა, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ როგორც დასავლეთ Еროპაში მუშებს, სახელმწიფოსდა დაუხმარებლათ, გაუჭირდათ საკუთარი ქარხნების გამართვა და იმითი საკუთრათ სარგებლობა, აგრეთვე ჩვენ ღარიბ ბლეხებს გაუჭირდებათ, მარტო თავის საშუალებით, მიწების შეძენა, თუნდ მთელი სოფლები ერთად შეიკრიბნენ.

Аმ სტატიის დასკვნა არის: თუ იმ მემამულეებმა, რომელთაც მომეტებული მამულები აქვთ, თუ იმათ ამ მამულების ხეირიანათ გამოყენება ვერ შეიძლეს და გაყიდვა მოინდომეს,—სასურველია, რომ ეს მამულები ბლეხ-კაცებს ჩაუვარდესთ ხელში და არა სხვილ მემამულეებსა და ვაჭრებს, რადგან ეს მთელი ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება. Уველაზე უკეთესი კი, რასაკვირველია, ის იქნება, რომ არც ახლანდელი მემამულეები დარჩენენ უმამულოთ და იმათაც შეიძინონ მიწა-წყალი საკუთრებათ, რომელთაც ამჟამად ჯერ არა აქვთ.

Ერთს რუსულ გაზეთს გაუგონია, რომ ამ წელს Кავკაზიის მხრის სამოქალაქო მმართველობა შემდეგ შემოსავალს მოელის: ა) დამოქნის შემოსავალი — 1,533,000 მანეთს; ბ) გადასახადი—1,486,000 მან.; გ) იმ სახელმწიფო მამულებისაგან, რომელნიც იჯარით არიან გაცემულნი—517,000 მან.; დ) სასმელების შემოსავალი—461,000; ე) მარილის, ნავთის და შაბის შემოსავალი — 311,000; ვ) ფოჩტის—218,000; ზ) გარეშე წყაროებიდგან—216,000; თ) ღერბის ქაღალდისა—176,000 მან.; სხვა და სხვა ბაჟისაგან—129,000 ტყვეებისაგან—67,000; ნოტარიუსისა და სხვა კანცელარიებისაგან—63,000; სხვა შემოსავალი—26,000; ხაზინაში შერიცხული მამულებისაგან—24,000; მთის შემოსავალი—17,000; ვაჭრობისათვის გადასახადი—10,000; პრობის შემოსავალი—750 მან.

* * *

Ერთ რუსულ გაზეთს გაუგონია, რომ ამ წელს მმართებლობას ორმოცდა ერთი ათასი მანეთი დაუნიშნაეს იმ პირების დასახმარებლათ, რომელნიც შვიზღვის მაზრაში (Аფხაზეთში) დასახლებას მოინდომებენო.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

Უმაღლესის ბრძანებით იანვრის პირველ რიცხვებში Аმერიკაში წასულა ერთი არტილერიის აფიცარი, რომელმანც უნდა მოიტანოს იქიდამ რუსეთისთვის დამზადებული 20,000 რევოლვერი.

* * *

Аს ანგარიშიდამ, რომელიც 3 იანვარს მედიკო-ხირურგიის Аკადემიის აქტზე წაიკითხეს, სჩანს, რომ წელს ამ Аკადემიაში 1,035 სტუდენტი ყოფილა; ამათ რიცხვში 279 ღარიბ სტუდენტებს სტიპენდია ეძლეოდათ თუ თვითონ Аკადემია და თუ კერძო პირების გან.

* * *

Სმოლენსკის გუბერნიის ერთს სოფელში ერთ ქალს გაუხსნია პატარა შკოლა გლეხკაცების შვილებისათვის. პირველათ ამ შკოლაში არავინ არ დაიარებოდა თურმე; შემდეგში, როცა ნახეს, რომ შკოლა კარგათ არის მოწყობილი და ბავშვებს კარგათ ასწავლიდნენ და ექცეოდნენ, თითქმის მთელი სოფლის ბავშვებმა მოიყარეს თავი დ დიდის ხალისით დაიარებიან და სწავლობენ. რა კარგი იქნება, რომ ჩვენშიაც მოიპოვებოდნენ ამ კეთილი მაგალითის წამბაძველნი! რამდენი ნასწავლი ქალები ცხოვრობენ ჩვენ სოფლებში, რომელთაც უსაქმობისაგან არ იცის, როგორ მოჰკლან დრო? ხალხის განათლებაზე უკეთეს და უფრო სასარგებლო საქმეს

ჩვენ დროში ქალი კი არა (რომელიც საზოგადოთ საქმეს მოკლებულია), კაცებიც ვერ იშოვნიან.

***

ამას წინათ იყო ხარკოვში უეზდის სამეურნეო საზოგადოების შეკრებილება. ამ სამეურნეო ყრილობაში სხვათა შორის მოწვეულნი იყვნენ სოფლის მამასახლისები. ყრილობის უფროსმა გამოუცხადა, რომ ჩვენ მხოლოდ იმ განზრახვით შეეგროვდითო აქ, რომ ერთმანეთს გადაესცეთ ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლო საოჯახო დარიგებანი და გამოვიყენოთ საქმეში იმისთანა ცნობები, რომელნიც უფრო დიდს სარგებლობას მოგვცემენ ოჯახში. ამის შემდეგ ყოველმა იქ მყოფმა წარმოსთქვა რაც კი იცოდა, ან შეეტყო ოჯახობაში.— ერთმა თქვა, რომ დერკაჩეევის სამამასახლისოში ერთ ქალს მოჰყავსო მხოლოდ ყაყაჩო და ხშირად მოგდება, რომ ერთ დესეტინაზე ოც თუმანს იგებსო იმის თესლის გაყიდვით.— უფ. ტორდენკომ სთქვა, ჩვენს უეზდში მიწის გასუქებას მაგდენათ არავინ დასდეესო! საბატონო მამულში ერთგან ოცდა ათს დესეტინა მიწას აპატივებენ. პატივს ანუ სასუქს გაიტანენ ხოლმე თავისუფალს დროს, როცა მუშაობა არ არის; მაგალითად, ზამთარში და გამოზაფხულზედ. თითო დესეტინაზე გამოაქვთ სამასი ურემი სასუქი. იმის შენიშვნით გაუსუქებელს და გაუსუქებელს მიწას შუა შემდეგი განსხვავებაა მოსაელით. ნაპატივებს მიწაზე ოცდა ხუთი ძირი პური მოვიდა, გასუქებულზე კი ათ ნახევარი ძირის მეტი არ მოსულა. თუმცა ეს მაგალითები ცხადათ ამტკიცებენ, რომ მიწის გასუქება მომეტებულათ საჭიროა, მაგრამ საბატონო მამულში არ მოხერხდება მიწის გასუქების შემოღება, ამიტომ რომ მუშა კაცი ძალიან ძვირია და, რომ კიდეც გინდოდეს იმის დაქირავება, თავის დროზედ მაინც ვერ იშოვნი; გლეხობაში კი თავის მიწას თვითონვე მუშაობენ, და ამის გიმო იმათში მიწის გასუქების შემოღება უფრო ადვილათ მოხერხდებოდაო. ამაზე ერთი სოფლის მამასახლისი წამოდგა და სთქვა: თვითონ გლეხებიც კარგათ ჰგრძნობენ, რამდენათ სასარგებლოა მიწის გასუქებაო, მაგრამ ჩვენში რომ მიწის პატრონობის წესია, მიწის გასუქების შემოღება ძალიან გვიძნელდებაო. სახელმწიფო გლეხებს სამუშაოო მიწა ერთბაშათ გვეძლევა მთელს სოფელზე და მერე ჩვენ თვითონ უნდა დავიყოთ ერთმანეთშიო. მიწა ყოველგან ერთგვარი არ არისო და ზოგი კარგათ მოშორებით იმყოფება სოფელზედო. ამისთვის სოფელი გაჰყოფს მოსახლეებს შორის ამ საერო მიწას იმ განზრახვით, რომ რადენიმე წლის შემდეგ ხელმეორეთ გ ჰყოს ახალნაირათ. ამისთვის გლეხებს თავის უწინდელი მიწის მაგიერათ სხვა მიწის ნაჭრებს ურიგებენო. რადგან გლეხმა იცის, რომ სულ ერთი და იგივე მიწა, ნიადაგ საკუთრათ არ დარჩება, ამისთვის ის ასე ამბობს, გიჟი ვიქნები, რათ დაუწყებ მიწას გასუქებასო. სულ მე ხომ არ დამირჩენენ ჩემ გაკეთებულს მიწასაო. რამდენსამე ხანს შემდეგ ჩემი გაკეთებული მიწა იქნება სხვას ჰხვდესო და ჩემმა ჯაფამ ტყუილათ ჩაიროსო. ეს გონიერი აზრი შეკრებილებაში ყურადღებით მოისმინეს და მამასახლისს უპასუხეს, რომ აწ ყოველ გლახს თავის ხვედრი მიწა მუდამ საკუთრათ დარჩებაო და ამ გვარათ ყოველი გლეხი რა კი დარწმუნებული იქნებაო, რომ იმის ნაკეთები მიწა მუდამ იმასვე დარჩებ, უფრო გულსმოდგინებით შეუდგება თავის მუშაობას.

ამავე ყრილობაშიე იყო მოლაპარაკება ტყის გაშენებაზედაც. შეკრებილების უფროსმა წარმოსთქვა, ჩვენს უეზდში, რომ უთავბოლოთ სჭრიან და აფუჭებენ ტყეს,—ისე ეგონებ არსად არ შერჩებიანო. ამ ჟამათ ხარკოვის ქალაქში ერთი საჟენი შეშა ოცდა რვა მანეთად ღირსო და წლით წლობამდე შეშა თან-და-თან ძვირდებაო. ამის გამო მიუცილებელ საჭიროებად ხდება ტყეების შენახვა: ამ შემთხვევაში საუკეთესო საშუალება იქნება, თუ კი შემოიღეს და საკმაოთ იქნა სოფელში წივის ხმარება და ქალაქებში, ქვის ნახშირისა. სწავლულ კაცებმა გამოიანგარიშეს და გამოჩნდა, რომ ქვის ნახშირის წვა რომ შემოიღონ, ორჯერ უფრო იეფად დაჯდება, ვინამც შეშისა. სოფელში წივის (გამხმარი ნეხვის) წვა ხომ, რაღა ლაპარაკი უნდა, ძალიან იაფია. ამას გარდა გამხმარი ნეხვის დაწვა სიმთელისათვისაც სარგოა. შეკრებილებამ გადასწყვიტა მთელს ხარკოვის უეზდს განეუცხადოთ, რომ ტყის შემუსვრას (გაწყობას) ყურადღება მიაქციოს და მთავრობას სთხოვოს, რაც ხარკოვის უეზდში რკინის გზები გადის, საცა ქვის ნახშირია ბევრი, იმ ალაგებზე გაიყვანონ, რომ რკინის გზის სატარებლათ შეშა ალარ წვან. ეს რომ მოხდებოდესო, რკინის გზის გამო დაძვირებული შეშა ისევ გაიაფდებაო. („სასოფლო გაზეთიდამ.")

ნეკროლოგი

ამ თვის 18, დილის 10 საათზე, თფილისში უეცარის სიკვდილით გარდაიცვალა თ. ივანე ზაალის ძე გარათაშვილი. იმ დღეს ის იყო თფილისის ოლქის სასამართლოში და, როცა უკან დაბრუნდა, რალაც უბედურათ გადააწვა კიბის მოაჯირს, დასძლია ტანმა და მესამე ეტაჟიდამ ძირს, მარმარილოს იატაკზედ, დაეცა თავით. რასაკვირველია, ყოველი ზრუნვა და მეცადინეობა ექიმებისა ფუჭათ შეიქნა: ათი მინუტის შემდეგ იგ. გარათა-შვილმა დაკარგა ყოველი ნიშანი სიცოცხლისა. მიცვალებული იყო ყმაწვილი კაცი, ჯერ 30 წელიწადიც არ შესრულებოდა. ქართული ლიტერატურის ყურის-მგდებელი უნდა იცნობდეს იმას, ლექსებით და სხვა თხზულებებით, უმეტესი ნაწილი რომლებისა „ცისკარში" იბეჭდებოდა. მიცვალებული არ იყო განსაკუთრებული ნიჭისა და ცოდნის პატრონი; მაგრამ ჩვენი ღარიბი ლიტერატურისთვის და . . . . . საზოგადოებისთვის—იმის დაკარგვა ძლიერ საგრძნობელია; წესის აგების დროს თ. ვლად. აბაშიძემ სთქვა სიტყვა გადაცვალებულზე, რომელიც აქვე მოგვყავს:

„აი ერთი იმ ყმაწვილ-კაცთაგანი, რომელსაც ყოველი თავისი ღონე შეწირული ჰქონდა, მოეტანა რამე სარგებლობა თავის სამშობლოსათვის, რომელსაც ჰქონდა ბევრგვარი ლტოლვილება თავის ცხოვრებაში, ლტოლვილება არა შესახებ საკუთარის სარგებლობისა, არამედ საზოგადო სიკეთისათვის. განსაკუთრებით მეცადინეობა ამისი იყო მიქცეული ქართულის ლიტერატურისთვის, რომ შეძლების დაგვარად მოეტანა რაიმე სარგებლობა მისთვის; ყოველი თავისუფალი დრო შეწირული ჰქონდა წერისთვის; ხოლო მიზანი იმის მწერლობისა ცხადად სჩანს ამ ორის ლექსიდგან, „ნანა" „საუკედური", რომელშიაც ის თავის თანამოძმეთ აყვედრებს ბევრს დაპირებას, მაგრამ ნაცვლად მოქმედებისა უმოქმედებლობას. ეს ორი ლექსი საკმაოდ ამტკიცებს, რომ იმას აწუხებდა ის გარემოება და იმ ხალხის უზრუნველობა, რომლის შუა იყო ის და მუშაობდა. იმისი სიცოცხლე იყო იმით შესანიშნავი, რომ მხოლოდ ლაპარაკობდა და სწერდა და თუ ვერ მოქმედებდა, უთუოთ ჰქონდა მიზეზი, რომელიც მას არა ერთხელ გამოუთქვამს ამხანაგებში. ეს იყო წრეს გარეთ პატიოსანი, ისე რომ ყოველი მცირე მიზეზი პატიოსნების წინააღმდეგი აშფოთებდა და აღელვებდა მას....

„ვანო ბარათაშვილი იყო იმ ყმაწვილკაცთაგანი, რომელნიც მტკიცეთ მისდევენ ჩვენი მშვენიერი პოეტის სიტყვებს:

„არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს."

„ეს სიტყვები ხშირად გვესმოდა იმისაგან. სამწუხაროდ ჩვენდა, ახლა იძულებულნი ვართ, საუკუნოთ გამოვეთხოვოთ იმას. წარვედ ჩვენგან, ძმაო ვანო! ხოლო ჩვენ აქ განვაგრძელებთ შენს ლტოლვას".

ნარევი

***

ხარკოვში მომხდარა ერთი საქმე, რომელსაც აუღელვებია ამ ქალაქის მცხოვრებლები: ერთი იქაური ღარიბი მემამულე ყოფილა სადღაც სალამოს და ხუთასი მან. წაუგია კარტში. ამ გარემოებას ისეთი გავლენა ჰქონია იმაზე, რომ, დაბრუნებულა თუ არა შინ, ჩაუკეტია თავის ოთახის კარები, აუღია გატენილი თოფი და ზედ გულში უკრავს. თოფის ხმაზე ამ კაცის ცოლი და შვილები შემოცვენილან მეორე ოთახიდამ; წარმოიდგინეთ, რა სანახავს ნახავდენ ისინი: ის ეგდო თურმე უგრძნობელი პოლზე და ფეხებს აფართხალებდა.

***

პოდოლსკის გუბერნიის ერთს უეზდში ბევრი მგლები მოვარდნილან, და იმათ დასახოცავათ ამ უეზდის თემობას აი რა ნაირი განკარგულება მოუხდენია: დაუნიშნავთ ერთი დღე, როდესაც მთელი უეზდის მონადირეები და მსროლელები უნდა გამოსულიყვნენ და დარეოდნენ მგლებს ტყეში; ამათთვის ბოლოს ტყვია და წამალი მუქთად დაურიგებია. ამათთანავე ახლო-მახლო უეზდების თემობებისთვის მიუწერია (ირკულიარი, რომ გაქცევის ნებაარ მისცენ მგლებსა.

***

იმის დასამტკიცებლათ თუ ფრანცუზები და ნემცები როგორ არიან ერთმანეთზე გაბრაზებულნი, მოგვყავს შემდეგი წიგნი, რომელიც ერთს ვერდერის არმიის აფიცარს მიუწერია თავის დედ-მამისათვის ბერმანიაში: „ამ დღეებში ჩვენ დავიჭირეთ აქ ოცდა ათი კაცი იმ ავაზაკებისაგან, (ბარიბალდის ვოლონტერებზე ამბობს), რომელნიც ამას წინეთ დაეცნენ ჩვენ ლანდვერს შატილიონში. ჩვენ თვითონ ამათ ამოვათხრევინეთ ჯერ ორმო, მერე დავხვრიტეთ და შიგ ჩავყარეთ. ვინც კი ჩაგვივარდება იმათგან ხელში, ყველასთვის ტყვია გვაქვს დამზადებული. ბარიბალდი და ჩვენ თუ შევიყარენით, სასიკვდილო შეტაკება გვექნება და, თუ ვჯობეთ, დაზოგვას ნუ მოელის.

***

ერთი ამერიკელი კაპიტნის მოწვევაზე, პარიჟში 25,000 კაცს გამოუცხადებია სურვილი ვოლონტერებათ შესვლისა. ეს გამოჩენილი აფიცარი-ბორეგარი-დღე და ღამ ამ ახალი სალდათების სწავლაში და წვრთნაში იყო თურმე. ბორეგარმა გამოსცა ჰროკლამაცია, რომელშიაც ის მიმართავს პატრიოტებს და ამბობს, „რომ ყველაფერი, რაც კი გაგვაჩნია, საფრანგეთს და რესპუბლიკას შევსწიროთო". მაგრამ რაში გამოადგა გაჭირვებულ საფრანგეთს ამ 25,000 კაცს გარდა ის 525,000 ჯარი, რომელიც პარიჟში იდგა და იმის დაცვას ემზადებოდა.

განცხადება

თფილისში იყიდება და მალე ქუთაისსაც გაიგზავნება

ბურამიანი

ანუ

დავითიანი

დავით ბურამიშვილის თხზულება

ბ. წერეთლის წინასიტყვაობით: „დავით ბურამიშვილი და იმის წინა-დროები."

ფასი ათი შაური

თფილისს დუბელირის (ბ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში და წიგნების მაღაზიებში **და ქუთაისს** ბერასიმე ქალანდარისშვილთან, და საგუბერნიო სტამბაში ისყიდება

საუკეთესო ცოდნა

(ბუნების მეცნიერებიდგან) თხზულება სობოლშჩიკოვისა, ნათარგმნი და გამოცემული „სასოფლო გაზეთის" რედაქციისაგან.--

ფასი ხუთი შაური.

ისყიდება თფილისს ვართანოვის წიგნის მაღაზიაში და ი. ბოგებაშვილისას.

ქართული ანბანი

შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან

ფასი ორი შაური

ბუნების კარი

საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის საქართველოს კარტითა შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან.

ფასი სამი აბაზი და ერთი შაური

ალადათოვის მაღაზიაში ისყიდება.

ბავშვების ოქვლა

დარიგება ყმაწვილების მოვლისა თხზულება ინგლისის კოროლევის დოქტორის ქომბისა.

ფასი ათი შაური

ვისაც "ტივით მოგზაურობა"—კომ. ანტონოვისა—აქვს, უმორჩილესად ვთხოვთ მოგვყიდოს, ან რამდენიმე დღით გვათხოვოს. (ადრესი: „დროების" რედაქციის კანტორაში მელიქაშვილის სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში.)

ენფიანჯიანცის წიგნების მაღაზიაში ისყიდება:

ჩოლგური

ლექსების კრება ნ. ბარათაშვილისა ილ. ჭავჭავაძისა, აკ. წერეთლისა და სხვათა.

ფასი ერთი მანეთი

საქართველოს ისტორია

შედგენილი თეიმურაზ ბატონიშვილისა

ფასი ერთი მანეთი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Января 1871 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.